პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ახალგაზრდა სტალინელი

ი. ბ. სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პარტიული კომიტეტის, რექტორატის, კომკავშირის კომიტეტისა და პროფკომის ორგანო

Ахалгазрда Сталинели — орган парткома, ректората, комитета ЛКСМ и профкома Тбилисского государственного университета имени И. В. СТАЛИНА

№ 5 (177) | ოთხშაბათი, 13 თებერვალი, 1957 წ. გამოცემის მეექვსე წელი | ფასი 20 კაპ.

თბილისში სტუმრად მყოფი ს. მ. კიროვის სახელობის აზერბაიჯანის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტთა დელეგაციის ერთი ჯგუფი სტუდენტთა ქალაქში.

ფოტო გ. ლუარაშვილისა

# როგორც მშობლიურ სახლში

ავტობუსი ბაღლობს შეუდგა. წუთი წუთს მისდევს და ქალაქი თანდათან დაბლა იწევს... ხუთსართულიანი სახლები ერთბაშად ერთ სართულამდე დადაბლდნენ... ტრამვაი-ტროლეიბუსები ლამაზ სათამაშოებს დაემსგავსნენ... ქალაქი პატარავდება, მაკეტს ემსგავსება. მაგრამ იგი, ხელისგულზე გაშლილი, უფრო კოხტა და მიმზიდველია. აი, ჩვენ უკვე სტალინის სახელობის კულტურისა და დასვენების პარკის ფართო მოედანზე ვართ. აგერ ლამაზი სახის ქართველი ქალი ბავშვს თითით რაღაცაზე ანიშნებს და ეუბნება:

— ლელა, შვილო! ჩვენს სახლს ხედავ? — პატარა გოგონაც თვალებით გაფაციცებით ეძებს ნაგებობათა შორის საკუთარ სახლს.

და მე ერთბაშად გავიფიქრე, რომ ყოველი თბილისელი აქ ამოსვლისას ალბათ ასევე ეძებს თავის სახლს. ეს თითქოს ერთგვარი გასართობია. სიამოვნებას გგვრის, როცა ასეთი სიმაღლიდან დასცქერი საკუთარ ქალაქს. ჩვენ კი ამ სიმაღლიდან ცალკეულ შენობებს კი არა, მთელ თბილისს ვუყურებთ, რადგან იგი ამჟამად ჩვენი ბინაა. აქ თავს როგორც საკუთარ სახლში, ისე ვგრძნობთ.

ამ დაუვიწყარი სიამოვნებით დაიწყო ჩვენი სტუმრობა თბილისში. ჩვენ, ბაქოელი სტუდენტები, დიდი ინტერესით გავეცანით ქალაქის ღირსშესანიშნაობებს.

ღრმა შთაბეჭდილებით დავტოვეთ საქართველოს სახელმწიფო მუზეუმი, სადაც გავეცანით უძველეს ისტორიულ ძეგლებს, ქართველი ერის უძველესი და უმდიდრესი კულტურის ეტყველ საბუთებს.

მრავალი საინტერესო და დასამახსოვრებელი ჩანაწერი შეიტანეს თავიანთ ბლოკნოტებში ჩემმა მეგობრებმა ქართული ხელოვნების ისტორიის მუზეუმის დათვალიერებისას. მათ განსაკუთრებით მოეწონათ ქართული ორნამენტები, რომლებიც საქართველოსავით ლამაზი და მრავალფეროვანია.

თბილისი. მთაწმინდა. პანთეონი. ვათვალიერებთ ქართველი ხალხის ღირსეული შვილების საფლავებს: ბარათაშვილი, ჭავჭავაძე, ერისთავი. — ვკითხულობთ საფლავის ქვებზე... აზრები მიჰქრიან, განცდებისაგან თავი თანდათან მძიმდება...

ჩვენმა მასპინძლებმა ქალაქგარეთ გასეირნებაც შემოგვთავაზეს. ჩვენც სიამოვნებით დავეთანხმეთ...

არჩევანი მცხეთასა და გორზე შევაჩერეთ. აი უკვე მცხეთაში ვართ. თბილისელმა მეგობრებმა ბევრი რამ საინტერესო და საყურადღებო მოგვითხრეს საქართველოს ამ უძველესი დედაქალაქის შესახებ. ჩვენს თვალწინ ნათლად გადაიშალა საქართველოს მდიდარი ისტორია თავისი გმირული წარსულით.

ქ. გორში დავათვალიერეთ ი. ბ. სტალინის სახლ-მუზეუმი. გავეცანით გორის ისტორიულ ძეგლებს.

თბილისში ყოფნისას ჩვენ შესაძლებლობა გვქონდა რამდენადმე გავცნობოდით თანამედროვე ქართულ თეატრალურსა და კინოხელოვნებას.

ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრში ვუყურეთ ა. ბალანჩივაძის ბალეტს „მთების გულს". განსაკუთრებით მოგვეწონა ქართული ხალხური ცეკვები მესამე მოქმედებიდან. რუსთაველის სახელობის დრამატიულ თეატრში ვნახეთ ი. კაკლის კომედია — „საქმიანი კაცი".

თბილისის კინოსტუდიაში ჩვენთვის დემონსტრირებულ იქნა კინოფილმი „აბეზარა", კინოჟურნალები — „ალაზნის ველი" და „ბორჯომი", რომლებიც მაყურებელს ქართველი მშრომელების შემოქმედებითი შრომის შესახებ მოუთხრობენ.

მაგრამ ჩვენი თბილისში ყოფნის უმეტესი დრო უნივერსიტეტის გაცნობას მოვანდომეთ. ჩვენ, როგორც სტუდენტებს, გვაინტერესებდა თბილისელი მეგობრების ყოველდღიური ცხოვრების გაცნობა.

მე პირადად, როგორც ჟურნალისტიკის განყოფილების სტუდენტი, განსაკუთრებით დავინტერესდი ჟურნალისტიკის კათედრის საქმიანობით და ჩემთვის სრულიად ახალი იყო, როდესაც გავიგე, რომ ჟურნალისტიკის განყოფილების სტუდენტები პერიოდულად უშვებენ თავიანთ ხელნაწერ ჟურნალს. ბაქოში დაბრუნებისას მე მოვუთხრობ ჩემს მეგობრებს ამ მეტად სასარგებლო პრაქტიკის შესახებ, რათა მომავალში ჩვენც გვქონდეს ასეთი ჟურნალი.

დასასრულ მე მინდა კიროვის სახელობის აზერბაიჯანის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტთა, მასწავლებელთა და, განსაკუთრებით, ჩვენს უნივერსიტეტში მოსწავლე ბულგარელ სტუდენტთა სახელით ასეთი გულთბილი შეხვედრისათვის გულითადი მადლობა გადავუხადო ჩვენს თბილისელ მეგობრებს.

დეე, სულ უფრო მტკიცდებოდეს მეგობრობა ჩვენი ორი უნივერსიტეტის სტუდენტთა შორის!

სალოლუნ! — ნაზვამლის!

**თეიუფ ყურბანოვი.**

ს. მ. კიროვის სახელობის აზერბაიჯანის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტის [illegible]

# იბედნიერეთ, მეგობრებო, სასურველო სტუმრებო!

ამ ქვეყანაზე თავის თავზე უბედური არავინ ეგონა ნელლის. ჯერ მამა გარდაეცვალა, შემდეგ კი დედა წაიყვანა ვერაგმა სიკვდილმა მიუსავლეთში. მერვეკლასელ ნელლის იმ დღიდან ობოლი ეწოდებოდა. უიმედოდ შესცქეროდა მომავალს.

თურმე ნელლი ცდებოდა. იგი არ დაობლებულა. სახალხო დემოკრატიულმა მთავრობამ მას დედობაც გაუწია და მამობაც, ყველაფერი გაუკეთა, რომ მას კარგად დაემთავრებინა საშუალო სკოლა. გაქრა მომავლისადმი უიმედობაც. ცხოვრებაში იგი არ დაიჩაგრებოდა.

წარმატებით დაამთავრა ნელლი ფეტიკოვამ სოფლის თურქული საშუალო სკოლა. ერთი ხნის შემდეგ მან სასიხარულო ცნობა მიიღო, შეეძლო წასულიყო საბჭოთა კავშირში უმაღლესი განათლების მისაღებად. ნელლი ბედნიერი იყო, უსაზღვროდ ბედნიერი.

1953 წ. 1 სექტემბერს, კიროვის სახელობის აზერბაიჯანის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტის პირველი კურსის ჟურნალში სხვებთან ერთად ნელლის გვარიც ამოიკითხეს. განა მარტო ნელლი ფეტიკოვა განიცდიდა ამ ბედნიერებას? მასთან ერთად იყო აიდენ სულეიმანოვა. მანაც სოფიაში დაამთავრა საშუალო სკოლა და მეგობრებთან ერთად მასაც ახლა საბჭოთა სტუდენტი ჰქვია. საბჭოთა სტუდენტის საპატიო სახელს ატარებენ ახმედ ახმედოვი, ჰაჯი ჰატიბოვი, ფაპრედ ჰალილოვი და კიდევ მრავალი სხვა — გეოგრაფიულად არც თუ ახლობელი, მაგრამ სიყვარულისთვის უახლოესი ბულგარეთის შვილები.

რამდენიმე დღეა, რაც ბაქოს უნივერსიტეტის ფილოლოგიის და ისტორიის ფაკულტეტის 23 სტუდენტი, მოძმე ბულგარეთის 23 წარმომადგენელი, ჩვენი სტუმარია.

საქართველოში ჩამოსვლის მეორე დღეს ისინი უნივერსიტეტში მოვიდნენ. დიდი სიყვარულით და პატივისცემით მიიღო სასურველი სტუმრები უნივერსიტეტის რექტორმა პროფ. ქ. კუპრაძემ. ყოველ მათგანს ხელი ჩამოართვა, მოიკითხა. შემდეგ კი ჰკითხა დელეგაციის ხელმძღვანელს დოცენტ ჰადი მირზა ზადეს, თუ რის დათვალიერებას ისურვებდნენ ისინი. ჰადი მირზა ზადე ასახელებს მათთვის საინტერესო ობიექტებს. როცა სტუმარი მორჩა თავის წინადადებებს, ახლა რექტორი ჩაერთო საუბარში. ახლა იგი ასახელებს სტუმრებისათვის სასიამოვნო სანახავ ადგილებს.

— ძალიან კარგი, გმადლობთ! — ამბობენ სტუდენტები.

ბულგარელმა სტუდენტებმა დაათვალიერეს აუდიტორიები, კაბინეტები, ლაბორატორიები. აღმოსავლეთმცოდნეობის კაბინეტში მათ ბევრი წიგნი ნახეს მშობლიურ — თურქულ ენაზე გამოსული. მათ ახსნა-განმარტებას მშობლიურ ენაზევე აძლევდა პროფესორი სერგო ჯიქია.

ჩამოსულები განსაკუთრებით დაინტერესა ქართული ენის კაბინეტმა. აქ პროფესორმა ვ. თოფურიამ მათ უამბო ქართველი ხალხის დიდი ისტორიული წარსულის და სულიერი კულტურის სიმდიდრეზე.

მათ დიდი ინტერესით დაათვალიერეს ჟურნალისტიკის კაბინეტი. ნახეს ჩვენი უნივერსიტეტის ჟურნალისტ სტუდენტთა ჩიერ გამოშვებული გაზეთები.

ჩვეული სტუმართმოყვარეობით მიხვდა მათ ჩვენი ქალაქი, ჩვენი სტუდენტობა. ბულგარელმა სტუდენტებმა ნახეს ხელოვნების მუზეუმი, ისტორიის მუზეუმი, ოპერისა და ბალეტის თეატრში ნახეს ბალეტი „მთების გული". სად აღარ იყვნენ. ყველგან — რითაც კი ამაყობს თბილისი.

ჩვენს სტუმრებს სტუდქალაქში უხდებათ ცხოვრება. აქ მცხოვრები სტუდენტები სიყვარულით ეპყრობიან ბულგარელ მეგობრებს. ისინი არდადეგებიდან ახლახან დაბრუნდნენ და მშობლიური სოფლებიდან ბევრი ხილი და სანოვაგე ჩამოიტანეს.

ეკონომიური ფაკულტეტის IV კურსის სტუდენტი ქრისტინე ბედენაშვილი ხელცარიელი არ დაბრუნებულა კახეთიდან. რას იტყვი, სულო და გულო: ვაშლი, მსხალი, ჩირი, ჩურჩხელები ყველაფერი ჩამოიტანა. და აი მან ბულგარელი სტუმრები თავის ოთახში მიიპატიჟა. ისინი აღფრთოვანებაში მოიყვანა ქართველი ქალიშვილის სტუმართმოყვარეობამ.

— ჩვენ სამუდამოდ მეგობრებად დავრჩებით, — უთხრა ქრისტინეს აიდენ სულეიმანოვამ. მათ სურათიც გადაიღეს ერთად. ისინი მართლაც არ დაივიწყებენ ერთმანეთს.

ჩვენი უნივერსიტეტის აღმოსავლეთმცოდნეობის ფაკულტეტის სტუდენტებმა 11 თებერვალს შეხვედრა მოუწყვეს სტუმრებს. მათ თურქულ ენაზე მისალმა IV კურსის სტუდენტი ი. გოცირიძე. უნივერსიტეტელ სტუდენტთა საქმიანობაზე ესაუბრა პროფ. სერგო ჯიქია. სტუმრებმა დიდი ინტერესით მოისმინეს ფაკულტეტის დეკანის კ. ფალავას მოსალმება.

საპასუხო სიტყვებით გამოდიან სტუმრები. ისინი მადლობას უცხადებენ უნივერსიტეტელებს გულთბილი მიღებისათვის. იწყება სახელდახელო კონცერტი. აქ არც სიმღერის გუნდი მღერის, არც სოლისტები მონაწილეობენ. მასპინძლები მღერიან „გაფრინდი შავო მერცხალო", „სულიკოს", ხოლო სტუმრები მასპინძლებს ბულგარული და თურქული სიმღერებით ატკბობენ.

დამთავრდა შეხვედრა. მე ვესაუბრე რამდენიმე მათგანს. ვკითხე მათს წარსულზე აწმყოსა და მომავალზე. ყველანი უსაზღვროდ ბედნიერები არიან. მეჰმედ ფაიდოვმა მითხრა: — ჩემს სოფელ რაზგრადოვში ნახევარი მოსახლეობა ბულგარელებია, ნახევარი თურქები. თურმე წინათ ერთმანეთს სასიკვდილოდ არ ინდობდნენ, ახლა კი ყველანი — სასოფლო-სამეურნეო არტელში ერთგულად მუშაობენ და სოციალიზმს ძმურად აშენებენ.

ნელლი ფეტიკოვა მოჰყვა თავის თავგადასავალს: — დაობლების შემდეგ, მეგონა, უბედური ვიქნებოდი ცხოვრებაში. თურმე ვცდებოდი. ჩემო მეგობარო, მე ბედნიერი ვარ.

იბედნიერეთ, ჩვენო მეგობრებო, ჩვენო სასურველო სტუმრებო.

**ვ. გოგოლაშვილი**

**სურათებზე:** (წრეში) აზერბაიჯანელი და ქართველი სტუდენტები ეცნობიან ერთმანეთს. (ქვემოთ) აზერბაიჯანელ სტუდენტს ა. სულეიმანოვას უმასპინძლდებიან ეკონომიური ფაკულტეტის IV კურსის სტუდენტები ქ. ბედენაშვილი (მარცხნივ) და გ. ქურდაძე.

# ბედნიერია მათი მოხუცებულობა

*

**მუშ. ალექსანდრე გეგიაშვილი**

## პენსიონერის სიმღერა ლენინზე

შენი მზე, შენი ვარსკვლავი
ზურმუხტებივით ბრჭყვიალებს
და ჩვენი წითელი დროშაც
მაღლა ჰაერში ფრიალებს.
ილიჩის დიდი სახელი
მთელ მსოფლიოში გრიალებს,
იმარჯვებს შენი საქმენი,
ჩარხი ხულ წალმა ტრიალებს.

შენი აღმზრდელის ქირიმე,
ვინც გიოხრა ტკბილი ნანაო,
ვინ შეგეფერება, ბელადო,
მსოფლიოს შენისთანაო.
შენით ვამაყობთ, მსოფლიოს
მტერს დაუბრმავე თვალიო,
კომუნისტურად ვიშრომებთ,
ეს არის ჩვენი ვალიო.

აშენდა ჩვენი ქვეყანა,
დამშვენდა ჩვენი მხარეო,
დაამხე ძველი თარხა
ხამშობლო გაახარეო.
ამის დამწერი მუშა ვარ,
სიბერე შემეპარაო
შენზნით დაუსხდა მშრომელი,
პენსიით გაგვახარეო.

## სიხარულის ცრემლებით

65 წელი შეუსრულდა სოფიო გელაძეს და არასოდეს არ ყოფილა ისე ბედნიერი, როგორც იმ დღით. სიხარულით ცას იყო მიწვდილი. ხუმრობა ხომ არ იყო, იუბილე მოუწყეს თანამშრომლებმა. იუბილე — დიდხანს და ემწიკვლოდ დამლაგებლად მუშაობისათვის. თვალებში სიხარულის ცრემლები უციმციმებდა სოფიოს.

ეს მოხდა ამასწინათ. უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის წიგნის დამუშავების სექტორის თანამშრომლებმა გამოსათხოვარი შეხვედრა მოუწყეს სოფიოს. იგი დიდხანს იყო მათი შრომის მოზიარე. ყოველთვის ფაქიზად ასრულებდა თავის მოვალეობას. შრომისმოყვარე ადამიანს გელაძეს ყოველთვის დაწმენდილ-დასუფთავებული ჰქონდა ოთახები.

შეხვედრამ მეტად გულთბილად ჩაიარა. თამარ რაზმაძე, ქეთევან ჩაჩიბაია და სხვები გამოვიდნენ სიტყვებით. დიდი სიყვარულით ილაპარაკეს მის ღვაწლსა და ამაგზე, უსურვეს დიდხანს სიცოცხლე და ჯანმრთელობა.

ბიბლიოთეკის პროფორგანიზაციამ სოფიო გელაძე ფასიანი საჩუქრებით დააჯილდოვა; უხაროდა სოფიოს საჩუქრების მიღება, მაგრამ მეტად ახარებდა ერთი საჩუქარი — ამაგის დაფასება.

სამადლობელი სიტყვით გამოვიდა სოფიო. იგი ძალიან კარგი დამლაგებელი იყო, მაგრამ როგორც ორატორს არასოდეს გამოუჩენია თავი — არც დასჭირვებია, ამჯერად მოწოლილმა სიხარულის გრძნობამ კიდევ უფრო დაება ენა. მის სათქმელს ცრემლებით გაბრწყინებული თვალები ამბობდნენ. ბოლოს, სოფიომ მაინც სძლია მღელვარებას: — მადლობელი ვარ მთავრობისა, რომ ჩემი შრომა დააფასა და მოხუცებულობის ჟამს პენსია შემომაშველა. მადლობელი ვარ თქვენიც რომ ესეოდენი პატივი დამდეთ!

**ვ. ბილიხაძე**

## არ დაივიწყებენ

ვინც სტიპენდიის დროულად აღების მადლი და გემო იცის იმას არ შეიძლება არ გაახსენდეს ერი ადამიანი, რომელიც ხანში შესვლის გამო ამჟამად პენსიაში გაუშვნენ.

აი, მაღალი ტანის, ბრგე, ლამაზად გაპარსული წვერით, წყნარად და გარკვევით მოსაუბრე მოხუცი ალექსანდრე მაქავარიანი. იგი 1945 წლიდან მუშაობდა უნივერსიტეტში ბუღალტრად სტიპენდიების ხაზით. დილაადრიან მოსული ალექსანდრე ხშირად გვიან საღამომდის დასტრიალებდა თავის საქმეს. ამიტომაც იყო რომ ყველაფერი წესრიგზე ჰქონდა.

ალექსანდრე ცდილობდა, რომ სტუდენტებს თავიანთი კუთვნილი სტიპენდია დროულად მიეღოთ.

გულისხმიერ და კეთილ მოხუცს სტუდენტებიც პატივისცემითა და მოწიწებით ეპყრობოდნენ.

„დეიდა კატუშა" ხომ ყველასათვის ნაცნობი და შინაური სახელია. მაღალი, გამხდარი, თმაშევერცხლილი ეკატერინე ახალგაზრდული ენერგიით უძღვებოდა თავის საქმეს. ვინ მოთვლის რამდენი რამ იყო ნასურვები მის მიერ გულდასმით გადათვლილ და „გადალოცვილ" სტიპენდიაში: ახალი წიგნები, კინოში დაპატიჟება, დაბადების დღეზე მისატანი ალბომები, ტუფლები, საკაბე და სხვ.

დეიდა ეკატერინეს მეუღლე ადრე გარდაიცვალა, ორი ობლის აღზრდა კისრად დააწვა. დედას გული არ გაუტეხია და პატიოსანი შრომით არჩენდა ოჯახს. იგი მუშაობდა ხან მბეჭდავ-მემანქანედ, ხან საქმის მწარმოებლად, ბოლოს 1944 წლიდან — უნივერსიტეტის მოლარედ.

ეკატერინეს მიზანი იყო შვილები აღეზარდა სამშობლოს ღირსეულ მოქალაქეებად. დედის ცდა და ამაგი შვილებმაც გაამართლეს. ქალიშვილმა დაამთავრა ისტორიის ფაკულტეტი და მუშაობს საქართველოს სსრ აკადემიის ქართული ხელოვნების ისტორიის ინსტიტუტში, ვაჟმა — რუსული ფილოლოგიის ფაკულტეტი და ახლა თბილისის 1 საშუალო სკოლის მასწავლებელია.

ჩვენი სტუდენტები ა. მაქავარიანის და ე. მინდიაშვილის ამაგს ყოველთვის სიყვარულით გაიხსენებენ.

**ა. ხუთისიაშვილი**

## ჩვენი ვარლამი

არიან ადამიანები, რომლებიც ჩუმად, უხმაუროდ, პრეტენზიის გარეშე აკეთებენ საზოგადოებრივ სასარგებლო საქმეს, ზრდიან მთელ თაობებს, ხელმძღვანელობენ კულტურულ დაწესებულებებს, და ბოლოს ხანდაზმულობის გამო უხმაუროდვე სტოვებენ სამოქმედო ასპარეზს.

ამგვარ მუშაკთა რიგს ეკუთვნის ვარლამ ანდრიას-ძე მიქაძე. იგი წლების მანძილზე მუშაობდა უნივერსიტეტის სტამბა-გამომცემლობის დირექტორად, ბოლოს კი უნივერსიტეტის „შრომების" ტექრედაქტორად. საიდანაც იგი ხანში შესულობისა და ნამსახურობისათვის პენსიაზე გავიდა.

განსაკუთრებით დიდია ვ. მიქაძის დამსახურება ქართული პრესის წინაშე. იგი ერთ-ერთი ინიციატორი იყო გაზეთ „ახალგაზრდა კომუნისტის" დაარსებისა.

რამდენიმე წლის მანძილზე იგი მუშაობდა ჯერ რედაქციის პასუხისმგებელ მდივნად, შემდეგ კი იმავე გაზეთის რედაქტორად. ამხ. ვ. მიქაძე რედაქტორობდა აგრეთვე საქ. კპ (ბ) აჭარის საოლქო კომიტეტის ყოველდღიურ ორგანოს „საბჭოთა აჭარას". არსებითად ვ. მიქაძე საბჭოთა ჟურნალისტიკის ცოცხალი მატიანეა.

მაგრამ ვარლამ მიქაძის მთავარი დამსახურება მაინც ახალგაზრდა მწერალთა კადრების აღზრდაში გამოვლინდა. 30-იან წლებში ვ. მიქაძის უშუალო თაოსნობით გაიზარდნენ ახალგაზრდა პოეტები, პროზაიკოსები, კრიტიკოსები, რომლებიც ამჟამად ჩვენი რესპუბლიკის თვალსაჩინო ძალებს წარმოადგენენ ქართულ საბჭოთა ლიტერატურაში.

ამხანაგების ვიწრო წრეში ამხ. ვ. მიქაძეს მისდამი განსაკუთრებული პატივისცემის გამო „ჩვენს ვარლამს" ვეძახოდით და მის გარშემო შეკრებილი ახალგაზრდობა მხოლოდ ამ სახელით იცნობდა მას.

როდესაც რომელიმე ადამიანი, მით უფრო მეგობარი ხანში შესულობის გამო საზოგადო მოღვაწეობის ასპარეზს სტოვებს, ეს ფაქტი ჩვენში აღძრავს გულისტკივილსაც და სიხარულსაც. გულისტკივილს იმიტომ, რომ იგი გვტოვებს, სიხარულს იმიტომ, რომ მან კეთილსინდისიერად ალასრულა თავისი ვალი და ასპარეზზე მყოფთ მაგალითი მისცა იმისა, თუ როგორ უნდა ხალხის სამსახური.

**დ. ბენაშვილი**

## უღრმესი მადლიერების გრძნობით

[illegible] ხნის წინ პენსიაში გაუშვეს ჩვენი [illegible] ელენე სუხიაშვილი, [illegible] და [illegible] ქინქლაძე.

ამ ამხანაგებმა [illegible] წლების მანძილზე [illegible] მუშაობით [illegible] უნივერსიტეტში [illegible] სტუდენტ-ახალგაზრდობის აღზრდის საპატიო საქმეს.

ისინი თავიანთ ცოდნას და გამოცდილებას ხალისით უზიარებდნენ კათედრის წევრებს, კათედრის სხდომებზე გამოდიოდნენ მეცნიერული და მეთოდური მოხსენებებით. ამასთან, ესწრებოდნენ კათედრის ახალგაზრდა წევრების ცალკეულ მეცადინეობებს და დახმარების მიზნით [illegible].

გულისხმიერი პედაგოგები არ ზოგავდნენ თავიანთ ძალას და ენერგიას, რათა ხელი შეეწყოთ [illegible] ახალგაზრდობისათვის [illegible] ხალხის ენის დაუფლებაში.

[illegible] გორდელაძეს, [illegible] ქინქლაძეს და სხვებს კარგი მუშაობისათვის უნივერსიტეტის რექტორისაგან არაერთხელ აქვს მადლობა გამოცხადებული, ზოგ მათგანს მიღებული აქვს მთავრობის ჯილდოები — ორდენები და მედლები.

ქართული ენის კათედრის პროფესორ-მასწავლებლები უღრმესი მადლიერების გრძნობით აღნიშნავენ თავიანთი კოლეგების [illegible] და [illegible] გამოთქვამენ, რომ ისინი პენსიაში გასვლის შემდეგაც არ გაწყვეტენ კავშირს კათედრასთან და კვლავაც დაეხმარებიან თავიანთი მდიდარი ცოდნით და გამოცდილებით.

**დოც. თ. მრევლიშვილი,**
ქართული ენის კათედრის გამგე.

**სურათზე:** ჩვენი უნივერსიტეტის სტამბის ყოფილი მუშები, ამჟამად პენსიონერები—პ. მირზაშვილი, ნ. ყორანაშვილი, გ. ხიძინაშვილი და ვ. კაპუხტიანოვი.

## ჭაღარიანი ადამიანები

უდიდესი ღირსებით აღინიშნა გამოიწვია კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის დადგენილებამ მშრომელთათვის მოხუცებულობისა და ნამსახურობისათვის პენსიების გადიდების შესახებ. ძრავალი საბჭოთა მოქალაქე გავიდა პენსიაში ამ დადგენილების გამოქვეყნების შემდეგ. ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობის შემდეგ ისინი ახლა ისვენებენ კეთილმოწყობილ ბინებში, შეჰხარიან ბედნიერი შვილებისა და შვილიშვილების ხალისიან, ნათელ ცხოვრებას.

რამდენიმე თვის წინათ პენსიაში გავიდნენ ჩვენი უნივერსიტეტის სტამბა-გამომცემლობის ძველი მუშები: პ. მირზაშვილი, გ. ოქრომშვილი, ნ. ყორანაშვილი და სხვები.

ეს მუშები მეტად დინჯი, უპრეტენზიო, თავმდაბალი ადამიანები არიან. მათ გარეგნობაშიც თითქოს არაფერია არაჩვეულებრივი. მაგრამ თუ ცოტა ახლოს გაეცნობით, დაინახავთ, რომ ამ უბრალო ადამიანების ლენაც მოხრილ, მაგრამ ჯერ ისევ ღონიერ ჩამოსხმულ სხეულში, მათს ძარღვიან სახეებში, თვალთა ცეცხლჩაუქრობელ გუგებში ბევრი რამ საინტერესო, საგულისხმო და აღსაღლავებელი ინახება. ეს ის მუშებია, ვინც თავისი მძიმე, მაგრამ იმედით აღსავსე ცხოვრებით ქმნიდნენ საკუთარ მომავალს, ოქტომბრის განთიადს, ვინც კიდევ უფრო მეტი გააკეთეს შემდგომ მშობელი ქვეყნის საკეთილდღეოდ.

პავლე მირზაშვილი „წარმოშობით ახალციხელია. სიღარიბის გამო განათლება არ მიუღია. წერა-კითხვაც თავისი დაუინებული სურვილის წყალობით მეზობლებისაგან შეუსწავლია.

1901 წელს 13 წლის ბიჭუნა ბიძამ თბილისში ჩამოიყვანა და ქართველთა ამხანაგობის გაზ. „ცნობის ფურცლის" სტამბაში ასოთამწყობ შეგირდად მიაბარა. მშობლებსა და მახლობლებს მოკლებული ერთობეწრ ბავშვი მთელ დღე თვალებში სეკდაჩაღვრილი დაიარებოდა. ლუკმაპურისათვის დილიდან საღამომდის მუშაობდა. მიუხედავად ამისა, პავლე სულით არ დაცემულა. მალე დაეუფლება სტამბის მოწინავე მუშებს. მათგან გაიგო ისიც, რომ მეფის ხელისუფლებისადმი ხალხის შერისხვების ზმა ერთიან ქარიშხლად ამოვარდნას ლამობდა. შემდეგში პ. მირზაშვილს როგორც საიმედო მუშას რსდმპ ადგილობრივი ორგანიზაცია ავალებს საიდუმლო სტამბების გამართვას, მთავრობის საწინააღმდეგო პროკლამაციების ბეჭდვასა და გავრცელებას. ამის გამო იგი ორჯელ იჯდა მეტეხის საპყრობილეში და ორჯელ გზის ციმბირის შორეულ რაიონებშიც მოუწია ლმისთვევამ.

ღტაცებით იგონებს მოხუცი 1905 წლის დეკემბრის ქარიშხლიან დღეებს, როდესაც ახალგაზრდა მუშების თაოსნობით თბილისის ცენტრალური ქუჩები წითელი დროშებით იყო დაფარული და ირგვლივ საბრძოლო ყიჟინა გუგუნებდა. შიმშილი და „უსახლკარობა", დევნა და უმუშევრობა, ციხე და გადასახლება — აჰა, ეს იყო პავლეს ცხოვრების გზა სანამ თბილისის თავზე საბჭოთა ხელისუფლების დროშა აფრიალდებოდა. ეს დღეც დადგა.

ამ დღიდან დაიწყო პ. მირზაშვილის ნამდვილი, ადამიანური ცხოვრება. იგი მუშაობას იწყებს გაზ. „კომუნისტის" სტამბაში, ხოლო 1937 წლიდან კი უნივერსიტეტის სტამბაში იმყოფება. რამდენჯერ დაუბრუნებიათ მასთან უხეიროდ კორექტირებული, ან სრულიად ხელახლა შენიშვნებჩამატებული ერთი და იგივე ანაწყობი ფორმები, მაგრამ პავლე ბუზღუნს კი არ მოჰყვებოდა, არამედ დაწყებულ საქმეს ბოლომდე მიიყვანდა. სამოცდაათ წელს მიღწეული პავლე უკანასკნელ ხანამდე ახალგაზრდული ენერგიით მუშაობდა და ყველას პატივისცემას იმსახურებდა.

არა ნაკლებ მძიმე და რთული გზა გაიარა გ. ოქრომშვილმა ასოთამწყობიდან სტამბის დირექტორამდე. სად იტყვით, რომ მას არ ემუშაოს. ჯერ იყო და საქონელს მწყემსავდა. შემდეგ თამბაქოს ფაბრიკაში მუშაობდა, ბოლოს თავისი ბედი საგამომცემლო საქმეს დაუკავშირა და 1912 წელს მანაც ქართველთა ამხანაგობის სტამბაში ასოთამწყობად დაიწყო მუშაობა. გიორგის ერთი სტამბიდან მეორეში უხდებოდა გადასვლა. 1914 წელს იგი ჯარში გაიწვიეს და მთელი რიგი წლების მანძილზე ეწეოდა ჯარისკაცი-ასოთამწყობის მძიმე ცხოვრებას. სამხედრო რეჟიმის სასტიკ პირობებში იგი აბეჭდავს და დახმარებას უწევს არალეგალურ ბოლშევიკურ გაზეთებს. 1921 წელს მუშაობას იწყებს გაზ. „მუშის" სტამბაში და ამ დღიდან საყვარელ საქმეს ერთი წუთითაც არ მოსცილებია. მალე მას პარტიის რიგებში იღებენ. მომდევნო წლებში გ. ოქრომშვილი საგამომცემლო სისტემაში მთელ რიგ პასუხსაგებ თანამდებობებზე იმყოფება, ხოლო 1945 წლიდან 1956 წლამდე უნივერსიტეტის სტამბის დირექტორია.

# რა სურთ უნივერსიტეტის ასპირანტებს

[illegible] და მთავრობა უდიდეს ყურადღებით და მზრუნველობით ეკიდებიან ახალგაზრდა მეცნიერ მუშაკთა კადრების აღზრდის საქმეს. ამას კიდევ ერთხელ მოწმობს საბჭოთა მთავრობის ამასწინანდელი დადგენილება მეცნიერ-მუშაკთა კადრების მომზადების შესახებ.

ეს დადგენილება სულ ახალ-ახალ ამოცანებს სახავს სამეცნიერო დაწესებულებების მუშაკთა წინაშე. აუცილებელს ხდის სამეცნიერო კადრების მომზადებისათვის მთელი მუშაობის ძირფესვიან გარდაქმნას. ეს გარდაქმნები უნდა დაიწყოს უკვე კიდევ ასპირანტთა მუშაობის ინდივიდუალური გეგმების შედგენა-დამტკიცებიდან.

აღნიშნული დადგენილებების თანახმად ასპირანტურაში სწავლების პროცესში მთავარი ყურადღება უნდა მიექცეს არჩეული სპეციალობის მიხედვით პირითადი საგნის ღრმად და საფუძვლიანად შესწავლას. ინდივიდუალური გეგმების გადასინჯვისას გათვალისწინებულ უნდა იქნეს აგრეთვე ის მდგომარეობაც, რომ ახლა აუცილებელი არ არის ასპირანტურაში სწავლების 3 წლის მანძილზე დისერტაციის მომზადება და ჩაბარება. ახალი დადგენილებიდან გამომდინარე, ყველა აღნიშნულ და სხვა ცვლილებებთან დაკავშირებით მუშაობის გეგმის დროულად და ნაყოფიერად გარდაქმნისათვის აუცილებელია ასპირანტებთან გარკვეული ახსნა-განმარტებითი მუშაობის ჩატარება. მაგრამ დღემდე რატომღაც ეს ვერ მოხერხდა, რომ ალარაფერი ვთქვათ ახალი დებულების განხილვაზე. იგი ორგანიზებულადაც კი არ წაუკითხავთ ასპირანტებისთვის შესაბამისი ფაკულტეტების ხელმძღვანელობის, სამეცნიერო კათედრებისა და ასპირანტთა გაერთიანებულ თათბირზე. მისი სათანადოდ განხილვა კი უსათუოდ დიდ დახმარებას გაუწევდა დამწყებ ახალგაზრდა მეცნიერ მუშაკებს.

მუშაობის ახალ პირობებთან დაკავშირებით ასპირანტებს გარკვეული შეღავათები მიეცათ სპეციალური საგნის დამოუკიდებლად შესწავლის საქმეში. ამასთან, სათანადო ორგანოებმა, რომლებიც სამეცნიერო კადრების მომზადების საქმეს ხელმძღვანელობენ, დიდი ყურადღება უნდა დაუთმონ ასპირანტთა მუშაობის შემოწმებას. ასპირანტის მუშაობის შემოწმება და შეფასება არ უნდა შემოიფარგლებოდეს მხოლოდ მუშაობის წლიური ატესტაციით. იგი უნდა წარმოებდეს ყოველდღიური კონტროლით როგორც კათედრების, სამეცნიერო ნაწილის და დეკანატების მხრივ, ისე პარტიული და კომკავშირული ორგანიზაციების მხრივაც. მაგრამ სანამ შევამოწმებდეთ, საჭიროა აქტიური საქმიანი დახმარება გავუწიოთ ასპირანტებს. ეს ზემოაღნიშნული ორგანოებისა და ორგანიზაციების ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს და პასუხსაგებ ყოველდღიურ მოვალეობას წარმოადგენს.

უკანასკნელ ხანებში რამდენადმე გაუმჯობესდა ჩვენი უნივერსიტეტის ასპირანტებისადმი ხელმძღვანელობა და დახმარება. არც თუ იშვიათად ასპირანტები იგზავნებიან სამეცნიერო მივლინებებში, მაგრამ დისერტაციის დაცვის თანამედროვე პირობებში განსაკუთრებით მწვავედ ისმება დამწყებ და ახალგაზრდა მეცნიერ-მუშაკთა შრომების დაბეჭდვის საკითხი.

უნივერსიტეტის ხელმძღვანელობამ, გაუწია რა ამას ანგარიში, გადაწყვიტა მომავალში უნივერსიტეტის „შრომებში" გარკვეული ადგილი დაუთმოს ასპირანტთა საუკეთესო ნაშრომებს. ეს უსათუოდ კარგი ღონისძიებაა და მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს აღნიშნული საკითხის დადებითად გადაწყვეტას.

ვფიქრობთ, ამასთან ერთად საჭირო იქნება კიდევ ერთი საკითხის დასმა: როგორც ვიცით, ყოველწლიურად ტარდება სტუდენტთა სამეცნიერო კონფერენციები. ამ კონფერენციებზე წაკითხული საუკეთესო მოხსენებები შემდეგ ცალკე კრებულადაც ქვეყნდება და ხელმისაწვდომი ხდება გაცილებით ფართო აუდიტორიისათვის. კი მაგრამ, რაღა დააშავეს ასპირანტებმა, რომლებიც აგრეთვე ბევრ საინტერესო მოხსენებებს კითხულობენ ასპირანტთა სამეცნიერო კონფერენციებზე? ხომ შეიძლებოდა გვქონოდა ასპირანტთა სამეცნიერო შრომების კრებულიც? ამის შესახებ არა ერთხელ გამოუთქვამთ საყვედური ჩვენს ასპირანტებს, მაგრამ იგი დღემდე ყოველთვის რჩებოდა „ხმად მღაღადებლისა უდაბნოსა შინა". ვფიქრობთ, მომავალში მაინც გადაწყდეს ეს საკითხი დადებითად. აქ ორი აზრი არ შეიძლება არსებობდეს. ასეთი კრებულების გამოცემა აუცილებელია და სათანადოდ უნდა ვიზრუნოთ მისთვის.

შემდეგ გვინდა აღვნიშნოთ, რომ რამდენადაც ჩვენი უნივერსიტეტის გამომცემლობას საშუალება არა აქვს გამოსცეს ყველა რეკომენდებული შრომა, აუცილებელია ვიბრძოლოთ იმისათვის, რათა ეს შრომები გამოქვეყნებულ იქნეს საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობის ხაზითაც, აგრეთვე დარგობრივ ჟურნალებში და ა. შ.

მაგრამ ეს ისე როდი უნდა გავიგოთ, რომ ასპირანტების მიერ შესრულებული ყველა შრომა აუცილებლად უნდა დაიბეჭდოს. სრულიადაც არა. მათგან უნდა შეირჩეს ყველაზე მაღალხარისხოვანი შრომები, რომელთა რიცხვი ამ ბოლო ხანებში საგრძნობლად გაიზარდა.

დაბოლოს, ერთი მტკივნეული საკითხია ასპირანტურის კურსდასრულებულთა სამუშაოზე მოწყობის საკითხი, რომელიც ზოგიერთ სპეციალობაზე ძნელად დასაძლევ პრობლემად იქცა.

იქმნება ისეთი მდგომარეობა, როცა ესა თუ ის პირი, რომელმაც ასპირანტურა დაამთავრა და სამეცნიერო კვალიფიკაცია მიიღო სამუშაოზე მოწყობის დროს უარეს მდგომარეობაში აღმოჩნდება ხოლმე, ვიდრე უნივერსიტეტის კურსდამთავრებული.

საქმე იმაშია, რომ სტუდენტებს უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ სპეციალური კომისია ანაწილებს სამუშაოზე, ასპირანტს კი არა თუ რაიმე უპირატესობა აქვს, არამედ საერთოდ მხოლოდ თავისი მოხერხების ან უნარის ანაბარა სტოვებენ. მართალია, შეძლებისდაგვარად მათ დახმარებას უწევს უნივერსიტეტი და მისი ხელმძღვანელობა, მაგრამ ყველაფერი ეს ინდივიდუალურ „კერძო" ხასიათს ატარებს.

საჭირო იქნება ამ საკითხში ერთგვარი ცენტრალიზაცია, რათა უნივერსიტეტის ხელმძღვანელობისათვის ცნობილი იყოს რესპუბლიკის ამა თუ იმ სამეცნიერო დაწესებულებებში სამეცნიერო კადრების მოთხოვნილება. გარკვეულ უხერხულობას ქმნის ის მდგომარეობაც, რომ ასპირანტურის კურსი ჩვეულებრივ მთავრდება ოქტომბერ-ნოემბერში, ე. ი. სასწავლო წლის დაწყების შემდეგ, რაც თავის მხრით კიდევ ერთ სიძნელეს ქმნის პედაგოგიურ სამუშაოზე კურსდამთავრებულ ასპირანტთა მოწყობისათვის.

ყველა ამ საკითხით დაინტერესებული არიან ასპირანტები, დაინტერესებული არიან მათი ხელმძღვანელებიც, მთელი სამეცნიერო საზოგადოება. მაგრამ მარტო დაინტერესება არ კმარა, საჭირო იქნება ფართო, უფრო ეფექტური ღონისძიებების გატარება, რაც ხელს შეუწყობდა ახალგაზრდა მეცნიერი კადრების მომზადების შემდგომ გაუმჯობესებას და ამ კადრების მიზანშეწონილად გამოყენებას.

**გ. შევარდნაძე**

---

ოცდაათი წლის მუშაობის მანძილზე იგი უშურველად ემსახურებოდა თავის საქმეს, რისთვისაც არაერთხელ მიუღია მადლობა და სიგელი.

— მზრუნველი და გულისხმიერი კაცია, — ასე ახასიათებენ მისი ამხანაგები. ამიტომაც იყო, რომ რაიონის მშრომელებმა ერთსულოვნად აირჩიეს იგი ქ. თბილისის ორჯონიკიძის რაისაბჭოს დეპუტატად 1955 წელს.

ობლობა და გაჭირვება, ფიქრი ლუკმაპურზე — ასეთი იყო ნინო ყორანაშვილის ახალგაზრდობაც. მშობლები სიკვდილმა გამოსტაცა ხელიდან, უფროსი ძმები მეფის მთავრობამ ჯერ ციხეში ჩაამწყვდია, შემდეგ ჯარში უკრა თავი. უპატრონოდ დარჩენილი ქალიშვილი იძულებული გახდა თავისი მარჯვენით ერჩინა თავი და ფიზიკურ მუშაობას მიჰყო ხელი. ოქტომბრის ნათელმა ნინოს ცხოვრებაც გაამზიარა. ძმები დაუბრუნდნენ. თვითონ სტამბის მუშად მოინდომა გახდომა. სტამბაში ის სიხარულით მიიღეს. გამოცდილმა ოსტატმა ლ. ნადირაძემ მაშინვე შენიშნა გოგონაში შრომისმოყვარეობა და საქმე მიუჩინა. ნინო მალე გაიწაფა: ბევრს თვალი რჩებოდა მის სისწრაფეზე. ხშირად წიგნის 300—400 გვერდს ისე აკინძავდა, ნაკლს ვერ უპოვიდით. 1924 წლიდან სხვადასხვა სტამბებში მუშაობს მკინძავად. მათ შორის № 1 სტამბაში, „ლენინსკოე ზნამიაში", „კომუნისტში", ხოლო 1949 წლიდან უნივერსიტეტის სტამბაში. ყველგან სასახელო იყო ნინო. მისი ნახელავი ყოველთვის გამოირჩეოდა თავისი სიფაქიზით და სისუფთავით.

32 წლის მანძილზე მუშაობდა ნინო ამ საქმეზე და დიდი გამოცდილებაც შეიძინა. ამ გამოცდილებას იგი ყოველთვის დიდი სიამოვნებით უზიარებდა ახალბედა მკინძავებს. აი, მისი ერთ-ერთი აღზრდილი იზიდი გოგონა მარგო მისტუევი, რომელიც საუკეთესოდ ფლობს ახლა თავის პროფესიას. ნინოს ახარებს თავისი მოწაფის წარმატება.

ნინო ყორანაშვილმა თავის უფროს კოლეგებთან ერთად სინანულის გრძნობით დატოვა საყვარელი სამქრო. მართალაც დასანანებელია, როდესაც სკიდდები შრომაში წლების მანძილზე შეძენილი ამხანაგების რიგებს. უბრუნდები ოჯახურ მყუდროებას. ხანდაზმულობისა და შრომითი ნამსახურობისათვის ისინი მთავრობამ მატერიალურად უზრუნველყო, მშვიდი და უდრტვინველი ცხოვრებით დააჯილდოვა და აბა, ამ ჯილდოზე უარს ხომ ვერ იტყოდნენ. მათ ერთხელ კიდევ შეიარეს სამქროებში, თვალი გადაავლეს თავიანთ აღზრდილ ახალგაზრდა ოსტატებს, თავიანთ სამწყობო მაგიდასთან შეჩერდნენ, ხელისგულზე პურის მარცვლებივით შეათამაშეს ლამაზი ქართული ასომთავრული და კეთილი სურვილებით ყველას დაემშვიდობნენ. სამქროს მუშებმა გულთბილად გამოაცილეს ისინი და მრავალი წლის ჯანმრთელი სიცოცხლე უსურვეს.

როცა მათ უნივერსიტეტის დერეფანი გამოიარეს, იქვე ვესტიბიულში წიგნის ფარდულიდან ნოჩქოლი შემოესმათ. ეს — მათი საყვარელი სტუდენტი ახალგაზრდობა შემოხვეოდა წიგნის ფარდულს. აქ მათი შვილებიც ერივნენ. კიდევ უფრო გული დასწყდათ პენსიაში მიმავალ მუშებს. მაგრამ რა იყო აქ გულდასაწყვეტი: ამ ადამიანებმა ხომ თავისებურად მთელი თავისი ძალა და ენერგია ახალგაზრდობის აღზრდის საქმეს მოახმარეს?

ჭაბუკები და ქალიშვილები იძენდნენ მათ მიერ უკანასკნელად აწყობილსა და აკინძულ წიგნებს და ფართო ნათელი აუდიტორიებისაკენ მიეშურებოდნენ.

**ხ. არჩემაშვილი,**
**ვ. ზიღრბაძე.**

## ფოტულა იანოკოპულუ

ფოტულა იანოკოპულუ დაიბადა 1934 წ. 29 დეკემბერს, საბერძნეთის ქალაქ ამფიკლში. იგი ბავშვობიდანვე ჩაება სამშობლოს თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის, დემოკრატიისათვის ბრძოლაში. ამ ოცდაორი წლის ბერძენი პატრიოტი ქალიშვილის ბიოგრაფია სავსეა გმირობისა და თავდადების ნიმუშებით, ამაღელვებელი მომენტებით.

ამჟამად ფოტულა იანოკოპულუ ჩვენი უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტზე სწავლობს და III კურსის ერთ-ერთი მოწინავე სტუდენტია.

ფოტულა პოეტური ნიჭითაცაა დაჯილდოებული. ქვემოთ ვაქვეყნებთ მის ერთ-ერთ ლექსს, ლოცვილს საქართველოზე, რომელიც ქართულად თარგმნა ახალგაზრდა პოეტმა მ ე დ ე ა კ ა ხ ი ძ ე მ.

## სიმღერა საქართველოზე

ო, საქართველოვ, ტურფავ,
ჩემო მეორე დედავ,
შენი სიცოცხლით ვხუნთქავ,
ყველგან შენს ღიმილს ვხედავ.
მე მიყვარს შენი ზეცა,
წყაროს თვალივით წმინდა,
ქარი რომ ნისლებს კვეცავს
მასთან ვიფრინო მინდა.
ულამაზესო მხარევ,
ბარაქიანო მიწავ,
გნახე და გამახარე,
მშობლიურ მხარედ გიცან.
მინდა მოუმართო ხაზი,
მინდა ვიმღერო ნაზად,
ჩემი პატარა გული
გაგიგო ფიანდაზად.
შენს მიწა-წყალზე, კარგო,
გალაღებული დავალ.
ენა რომ მოვიქარგო,
მე ხომ ბულბული არ ვარ.
შენი სიტურფით ვტკბები,
ტოროლასავით ვმღერი,
მე მიყვარს შენი მთები,
მთები ზურმუხტის ფერი.
იცოდი მტერთან შებმა,
ვერ დაგაბერეს წლებმა,
ვინც ერთხელ მაინც გნახავს,
არ მოგცემს დავიწყებას.
ბევრჯერ აჩეხეს ვაზი
ბევრჯერ გადაწვეს მდელო,
მაინც ხარ ეგრე ნაზი
ლამაზო საქართველოვ.
ქვეყნად, ვინ აღარ იცის,
ულამაზესო ხარო,
მე შევსვი შენი მიწის
უკვდავებისა წყარო.
და ისტორია ჩვენი
უთვალავ სახელს ითვლის,
ვინც ლურჯი ზეცის პირი
დაიცვა წმინდა სისხლით.
ვინ დაივიწყებს, ვინა,
იმ ულამაზეს ქალებს,
ვინც საქართველოს მიწას
სიცოცხლე ანაცვალეს.
ჩვენს ნაამაგარ მიწას
დიდების შუქი მოსავს,
ვინ დაივიწყებს, ვინა,
სააკაძეს და შოთას.
შენ, საქართველოვ, ბრწყინავ
როგორც ვარსკვლავი ცაზე,
მომაჯადოვებს მუდამ
ეგ შენი სილამაზე.
შენი სახელი უკვდავ
დიდებით შეიმოსა,
შენზე სიმღერა უთქვამს
უთვალავ ქვეყნის მგოსანს.
ქვეყნად ვინ აღარ იცის,
ულამაზესო ხარო,
მე შევსვი შენი მიწის
უკვდავებისა წყარო.

## სახალხო დემოკრატიის ქვეყნებში

### ჩეხი მეცნიერები სწავლობენ აღმოსავლეთის პრობლემებს

უკანასკნელ წლებში შეიმჩნევა ჩეხოსლოვაკიის მეცნიერთა დიდი დაინტერესება აღმოსავლეთის პრობლემების შესწავლისადმი. ჩეხოსლოვაკიის მეცნიერებათა აკადემიის აღმოსავლეთის კვლევითი ინსტიტუტი წარმოადგენს აღმოსავლეთმცოდნეობის ცენტრს ამ ქვეყანაში. ინსტიტუტს აქვს ოთხი განყოფილება, რომლებშიც მუშაობს ბევრი ცნობილი მეცნიერი-აღმოსავლეთმცოდნე. ყველაზე მსხვილია შორეული აღმოსავლეთის განყოფილება. აქ შეისწავლება ჩინეთთან, იაპონიასთან, კორეასთან, მონღოლეთთან და ვიეტნამთან დაკავშირებული პრობლემები. მეორე განყოფილებაში მუშაობა მიმდინარეობს ახლო აღმოსავლეთის რაიონის ქვეყნების შესასწავლად. მესამეში — შეისწავლება ინდოეთი, მეოთხეში — ის რაიონი, რომელიც მოიცავს არაბულ ქვეყნებს, თურქეთსა და ირანს.

დიდ მუშაობას ეწევა აღმოსავლეთის კვლევითი ინსტიტუტის ბიბლიოთეკა. მას გააჩნია 20 ათასზე მეტი ტომი, რომელიც ეხება აზიის შესწავლის სხვადასხვა საკითხს. ამას გარდა ინსტიტუტთან შექმნილია ლუ სინის სახელობის ბიბლიოთეკა, რომელსაც 45 ათასზე მეტი წიგნი გააჩნია. ცენტრალურ ევროპაში ეს არის ყველაზე მსხვილი ბიბლიოთეკა ჩინური წიგნებით.

აღმოსავლეთის კვლევით ინსტიტუტს აქვს თავისი ბეჭდვითი ორგანოები: ყოველთვიური გამოცემები — „აღმოსავლეთის არქივი" და „ახალი აღმოსავლეთი".

ჩეხოსლოვაკიის აღმოსავლეთმცოდნეები სამეცნიერო-კვლევით მუშაობასთან და პედაგოგიურ მოღვაწეობასთან ერთად ამჟამად მონაწილეობას იღებენ თანამედროვე ჩეხური ენის ლექსიკონის რედაქტირებაში, იმ სიტყვების დაზუსტებით, რომლებიც ნასესხები არიან აღმოსავლური ენებიდან.

# სტუმრად აზერბაიჯანელ მეგობრებთან

ჩვენი უნივერსიტეტის გეოგრაფია-გეოლოგიის ფაკულტეტის სტუდენტთა ერთმა ნაწილმა საზამთრო არდადეგები მოძმე აზერბაიჯანის დედაქალაქში — ბაქოში გაატარა. გულთბილმა და სტუმართმოყვარე შეხვედრამ, რომელიც აზერბაიჯანის უნივერსიტეტის სტუდენტებმა და მასწავლებლებმა ქართველ ახალგაზრდობას მოუწყო, აღტაცებაში მოიყვანა ექსკურსიის ყველა მონაწილე და კიდევ უფრო განამტკიცა ორი უნივერსიტეტის სტუდენტთა მეგობრობა, რომელსაც საფუძველი საკმაოდ კარგი ხნის წინათ ჩაეყარა.

აზერბაიჯანის უნივერსიტეტის სტუდენტობა და პროფესორ-მასწავლებლები ყურადღების გარეშე არცერთ წუთს არ ტოვებდნენ — როგორც ისინი უწოდებდნენ — თავის საყვარელ სტუმრებს. მათი ხელმძღვანელობითა და თანხლებით მოეწყო რიგი საინტერესო ექსკურსიებისა, რომლის დროს ჩვენმა სტუდენტებმა ინახულეს ბაქოს ღირსშესანიშნაობანი, ისტორიული ძეგლები და საწარმოო-დაწესებულებანი.

ექსკურსანტებმა დიდი ყურადღებით დაათვალიერეს ნიზამის სახელობის მუზეუმი, სადაც საკმაოდ დეტალურადაა ასახული აზერბაიჯანელი ხალხის სახელოვანი პოეტის ცხოვრება და შემოქმედება.

აზერბაიჯანელი ხალხის ისტორიული წარსულის, კულტურის, ხელოვნებისა და არქიტექტურის შესახებ კარგი წარმოდგენა დატოვეს ბაქოს ძველი ქალაქის კვარტალებმა, შირვან-შაჰის სასახლემ, „ქალწულის კოშკმა", მეჩეთებმა და აგრეთვე ხელოვნების მუზეუმმა.

როგორც ცნობილია, ქ. ბაქოს მეტად საინტერესო რევოლუციური წარსული აქვს. აქ ცხოვრობდნენ და მოღვაწეობდნენ ჩვენი პარტიის სახელოვანი მებრძოლები ი. სტალინი, ს. კიროვი, ა. ჯაფარიძე, ს. შაუმიანი, მ. აზიზბეკოვი და სხვები. მათი ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესახებ მასალები წარმოდგენილია ვ. ი. ლენინის მუზეუმში. ექსკურსანტებმა ინახულეს აგრეთვე 26 კომისრის სასაფლაო, რომელიც მოთავსებულია ქალაქის ცენტრალურ ნაწილში — მათსავე სახელობის ბაღში.

ქალაქის ფარგლებში მოეწყო აგრეთვე სხვა საინტერესო ექსკურსიებიც. ობიექტებიდან, რომლებსაც ამ ექსკურსიების დროს გაეცნენ ჩვენი სტუდენტები, მეტად საინტერესო იყო აზერბაიჯანის სსრ მთავრობის სასახლე, სტალინის სახელობის სანაპირო ქუჩა, ოპერისა და ბალეტის თეატრი, ზამთრის დიდი საცურაო აუზი მდიდრული დარბაზით, ნიზამის ძეგლი, აზერბაიჯანის მეცნიერებათა აკადემია, სახელმწიფო ფილარმონია და შავი ქალაქი, სადაც მოთავსებულია ნავთობის გადამამუშავებელი ქარხნები.

განსაკუთრებული ინტერესი გამოიწვია აფშერონის ნახევარკუნძულის ნავთის სარეწაოებმა.

დიდი მოწონება ჰპოვა ჩვენს ახალგაზრდებში კიროვის სახელობის პარკმა, რომელიც მდებარეობს ქალაქის დასავლეთ ნაწილში. მას ამშვენებს ს. მ. კიროვის დიდებული ძეგლი, რომელიც ქალაქის შორეულ ნაწილებიდანაც კარგად მოჩანს. პარკიდან თვალწინ იშლება კასპიის ზღვის სანაპიროზე ამფითეატრისებურად განლაგებული ქალაქის მშვენიერი პანორამა.

აღსანიშნავია აგრეთვე ნიზამის სახელობის კინოთეატრი ორი დიდი დარბაზით, მდიდრულად მოწყობილი და მრავალსართულიანი ფოიეთი. აქ მოეწყო ქართველი და აზერბაიჯანელი სტუდენტებისა და მასწავლებლების კოლექტიური მსვლელობა.

აზერბაიჯანელი სტუდენტები და მასწავლებლები ქართველ მეგობრებს ხშირად უმართავენ გულთბილ შეხვედრებს. ისინი ერთმანეთს ხვდებოდნენ როგორც უნივერსიტეტის შენობაში და სააქტო დარბაზში, ისე სტუდენტთა საერთო საცხოვრებელში. მათ შორის იმართებოდა მეგობრული საუბარი, ახდენდნენ მისამართების ერთიერთგაცვლას.

ჩვენმა ექსკურსანტებმა ინახულეს აგრეთვე ბაქოს მე-8 საშ. სკოლის ქართული სექტორი, გაეცნენ სკოლის პედაგოგიურ კოლექტივს, შეხვდნენ მოსწავლეებს და დაამყარეს მათთან მეგობრული კონტაქტი.

ყოველ ნაბიჯზე იგრძნობოდა აზერბაიჯანელი ხალხის სიმპათიები და სიყვარული მისი მოძმე ქართველი ხალხის მიმართ, რაც, რასაკვირველია, ერთ-ერთი საუკეთესო გამოვლინება საბჭოთა კავშირის ხალხთა დიადი მეგობრობისა. ეს ყველაზე კარგად გამომჟღავნდა უნივერსიტეტის სააქტო დარბაზში მოწყობილი შეხვედრის დროს და სპეციალურ ბანკეტზე, რომელიც ბაქოს უნივერსიტეტის სტუდენტთა და პროფესორ-მასწავლებელთა კოლექტივმა გაუმართა ჩვენი და ერევნის უნივერსიტეტების ექსკურსანტ სტუდენტებს. აქ ერთმანეთს შეხვდნენ ამიერკავკასიის სამი მოძმე რესპუბლიკის ახალგაზრდობა, მათ შორის გაიმართა აზრთა მეგობრული გაცვლა-გამოცვლა, შესრულებულ იქნა მრავალი სიმღერა და ცეკვა.

ჩვენი უნივერსიტეტის სტუდენტობა და პროფესორ-მასწავლებლები დიდად აფასებენ აზერბაიჯანელი მეგობრების ჩვეულ გულთბილსა და მეგობრულ დამოკიდებულებას მათ მიმართ.

**ა. ტერელაძე,**
ექსკურსიის ხელმძღვანელი.

**სურათზე:** ქართველი და აზერბაიჯანელი სტუდენტები აფშერონის ნავთის სარეწაოს კუნძულ არტიომზე.

## აქედან დასკვნა უნდა გავაკეთოთ

თითქმის ტრადიციად იქცა თხილამურებში ნებაყოფლობითი სპორტული საზოგადოება „ბურევესტნიკის" რესპუბლიკური საბჭოს პირველობის ჩატარება ზამთრის არდადეგების პერიოდში.

აღნიშნულ ღონისძიებაში უნივერსიტეტის მოთხილამურეთა გუნდი ყოველთვის კარგად გამოდიოდა. წელს კი სულ სხვა სურათი გვაქვს.

ჩვენი მოთხილამურეები შეჯიბრების ადგილზე — დაბა ბაკურიანში გამოცდების დამთავრების შემდეგ — 24 იანვარს გაემგზავრნენ. სამწუხაროდ, უნივერსიტეტს არ აღმოაჩნდა შეჯიბრებისათვის საჭირო ინვენტარი — თხილამურები და მოთხილამურის ფეხსაცმელები. აღარაფერს ვამბობთ მოთხილამურის სპეციალურ ფორმაზე. სწორედ ამან განაპირობა, მაგალითად, ის, რომ ჩვენმა მოთხილამურეთა გუნდმა ვერ მოახერხა საქალაქო პირველობაზე გამართულ შეჯიბრებაში მიეღო მონაწილეობა.

ინვენტარის უქონლობას დაერთო გუნდის მოუმზადებლობაც. შეჯიბრებამდე სპორტსმენების განკარგულებაში მხოლოდ 5 დღე იყო. გუნდის საერთო მოუწესრიგებლობას უწესო საქციელით უპასუხა ისტორიის ფაკულტეტის V კურსის სტუდენტმა ე. დიაკონაშვილმაც, რომელიც რესპუბლიკის ერთ-ერთ უძლიერეს მოთხილამურედ ითვლება. მან არ ინება უნივერსიტეტის სახელით გამოსულიყო შეჯიბრებაზე.

ასე იყო თუ ისე, გუნდი მაინც გავიდა შეჯიბრებაზე, თუმცა ბევრი მონაწილე „ბურევესტნიკის" სპორტული ბაზის მოუმარჯვებელი თხილამურების გამო დისტანციიდან გამოდიოდა.

სამარცხვინოა უნივერსიტეტის მოთხილამურეებისათვის ის ფაქტი, რომ საერთო გუნდური ადგილით ისინი ჩამორჩნენ პოლიტექნიკური ინსტიტუტის გუნდს, რომელსაც არც ერთი საპრიზო ადგილი არ დაუკავებია.

მიუხედავად ცუდი პირობებისა, რომელშიაც ჩვენს მოთხილამურეებს უხდებოდათ შეჯიბრებაში მონაწილეობა, ზოგმა მაინც შეძლო კარგი შედეგისათვის მიეღწია. ამ მხრივ აღსანიშნავია ისტორიის ფაკულტეტის სტუდენტი ქ. ბანდური, რომელმაც ქალთა შორის II და III ადგილები დაიკავა სწრაფდაშვებასა და სლალომში. ქ. ბანდურმა და ლ. ბაგლოევამ მონაწილეობა მიიღეს ქ. თბილისის უმაღლესი სასწავლებლების პირად პირველობაზე სლალომსა და სწრაფდაშვებაში და საუკეთესო შედეგს მიაღწიეს. სლალომში ჩემპიონი გახდა ქ. ბანდური, ხოლო მეორე ადგილზე ლ. ბაგლოევა გამოვიდა; სწრაფდაშვებაში ქ. ბანდური მეორე იყო, ხოლო ლ. ბაგლოევა მესამე ადგილით დაკმაყოფილდა.

მისასალმებელია ფიზიკის ფაკულტეტის III კურსის სტუდენტის ც. ფერცელაძის წარმატებაც. მან კარგად დაძლია სლალომის ტექნიკურად ძნელი ტრასა და III საპრიზო ადგილი დაიკავა.

III საპრიზო ადგილზე გამოვიდა აგრეთვე უნივერსიტეტის ქალთა გუნდი $4 \times 5$ კილომეტრზე ამანათრბენში.

შეჯიბრებაში კარგი შედეგი უჩვენეს ა. სანდაძემ, გ. მანაგაძემ, გ. ვართანოვმა, შ. ცნობილაძემ და სხვებმა.

აღნიშნულ ღონისძიებაში, რომელშიც რესპუბლიკის სხვადასხვა ქალაქის 10 გუნდი მონაწილეობდა, უნივერსიტეტის მოთხილამურეებმა საერთო IV ადგილი დაიკავეს. აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ იმ საჯარიმო ქულების გარეშე, რაც ჩვენმა გუნდმა მონაწილის გაუყვანლობის გამო მიიღო, შეგვეძლო მესამე ადგილზე გამოვსულიყავით.

თითქოს ოთხეულში მოხვედრა — ეს ცუდი შედეგი როდია, მაგრამ არამც და არამც არ შეიძლება კმაყოფილი ვიყოთ ამ შედეგით, როცა ვიცით, რომ ეს წარუმატებლობა განპირობებულია შეჯიბრებისათვის სავსებით მოუმზადებლობით. აქედან ფიზაღზრდისა და სპორტის კათედრამ სათანადო დასკვნა უნდა გააკეთოს.

**ვ. კასრაძე**

შეჯიბრების მონაწილე
**შ. ცნობილაძე**

შეჯიბრების მონაწილე
**ლ. ბაგლოევა**

## ექსკურსია ბათუმში

საზამთრო არდადეგები ისტორიის ფაკულტეტის პროფესორ-მასწავლებლებმა და სტუდენტებმა გეგმიანად გამოიყენეს დასასვენებლად. ეს დრო ნაწილმა გაატარა სანატორიუმებსა და დასასვენებელ სახლებში, ხოლო ნაწილმა იმოგზაურა და დაათვალიერა საბჭოთა კავშირის დიდი ქალაქები და სამრეწველო ცენტრები. ისტორიის ფაკულტეტის პროფესორ-მასწავლებელთა, თანამშრომელთა და სტუდენტთა ერთმა ჯგუფმა 30 კაცის შემადგენლობით (ხელმძღვანელი დოც. გ. ზაქარიაძე) ექსკურსიისათვის აირჩია ქალაქი ბათუმი.

როგორც ცნობილია, ბათუმი თითქმის სამი საუკუნის განმავლობაში მიტაცებული იყო თურქი დამპყრობლების მიერ, რომლებმაც იგი გაძარცვეს და გააჩანაგეს. რუსი ხალხის დახმარებით ბათუმი საქართველოს 1877 წელს დაუბრუნდა, მაგრამ მისი განვითარება მეფის ხელისუფლების კოლონიური რეჟიმის პირობებში ძლიერ ნელი ტემპით მიმდინარეობდა.

ბათუმი გაიფურჩქნა და აყვავდა მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლების პირობებში. იგი ამჟამად საბჭოთა კავშირში ერთ-ერთი მოწინავე ქალაქთაგანია თავისი ძლიერი სოციალისტური ინდუსტრიით.

ბათუმი საქართველოს უმსხვილესი ნავსადგურია შავ ზღვაზე. მის მისადგომებთან მდებარეობს ულამაზესი საკურორტო ადგილები. მიუხედავად იმისა, რომ ახლა შუა ზამთარია, ბათუმი მაინც წააგავს მწვანით შემოსილ ბაღნარს. ბათუმს აქვს სწორი და შახმატურად ჩამწკრივებული და გაკრიალებული ქუჩები, შესანიშნავი საცხოვრებელი სახლები, თეატრები, კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებები, დაწყებითი, საშუალო და უმაღლესი სასწავლებლები, სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტები და სხვ. მნახველი არ შეიძლება არ დატკბეს ბათუმის ღირსშესანიშნაობების დათვალიერებით.

აღტაცებაში მოვიდნენ ექსკურსანტები, როცა მათ დაათვალიერეს ბათუმის ნავსადგური. აქ ჩამწკრივებული იყვნენ დიდი და პატარა გემები, რომელთა შორის განსაკუთრებით გამოირჩეოდა „პეტრე დიდი" და „პენზა". ასევე მშვენიერ სანახაობას წარმოადგენენ ქალაქის ზღვისპირა ბაღი, ლენინის სახელობის პიონერთა პარკი, მახინჯაური, მწვანე კონცხი, ბოტანიკური ბაღი.

თბილისში დიდად კმაყოფილი დაბრუნდნენ ექსკურსანტები, რომელთა მეხსიერებაში წარუშლელი კვალი და სიყვარული დატოვა ბათუმის ღირსშესანიშნავი ადგილების დათვალიერებამ.

რედაქტორი ირ. სურგულაძე

რედაქციის მისამართი: ქ. თბილისი, უნივერსიტეტის ქუჩა № 1. ტელეფონი 3-33-68.
ი. ბ. სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობის სტამბა-ლითოგრაფია. უნივერსიტეტის ქ. № 1. ტირაჟი 2000. უე 00938.